ოქმი:**ო31.31220632**
თარიღი:**04/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

02. 03. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გმობენ რუსეთის მიერ განხორციელებულ საშინელ აგრესიას და მწუხარებას გამოთქვამენ იმ დიდი ტრაგედიის გამო, რაც მოძმე, დამოუკიდებელ უკრაინაში ხდება. ბრძოლები მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დამეგობრებულ ქალაქ ,,ნოვაია კახოვკა“-შიც, რომელიც ფაქტიურად მიწასთან არის გასწორებული. საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებლის განცხადებით, სოლიდარობას და თანადგომას უცხადებენ გმირ უკრაინელ ხალხს. მუნიციპალიტეტი მზად არის შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოს დახმარება მათ, როგორც ლტოვილებთან დაკავშირებით, ასევე ჰუმანიტარული კუთხითაც. მშვიდობა უსურვა უკრაინას და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში დასრულდება ეს საშინელი ომი, რომელსაც უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად ეწირება ასეულობით მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბავშვებიც. მან მიმართა დარბაზში მყოფთ, რათა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპული უკრაინელების ხსოვნისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე. მან საკრებულოს წევრებს შესთავაზა, რომ მიმდინარე წლის 4 მარტს 12

საათზე გაიმართოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რათა საკითხი დროულად იქნას მიღებული, რაზეც საკრებულოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.
საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი “- ს მე-2 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) სხვა ისეთი ხარჯები, რომელთა დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით და რომელიც კანონით აკრძალული არ არის.“

დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების ჩამონათვალი რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ უერთდება საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებლის პათოსს და თანადგომას და სოლიდარობას უცხადებს გმირ უკაინელ ხალხს. ის ასევე მიესალმება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ზეპარტიულ განწყობას. საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავის მხრივ მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს. საკრებულოს წევრის თქმით, მუნიციპალიტეტის დამეგობრებულ ქალაქ ,,ნოვაია კახოვკა“-დან წლების წინ ჩამოსული იყო დელეგაცია მერის მეთაურობით. ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ დამეგობრებულ ქალაქებს. მან პირადად გამოთქვა ყველანაირი მზადყოფნა, მიიღოს მონაწილეობა ჰუმანიტარულ დახმარებაში. ამის შემდეგ საკრებულოს წევრი დაინტერესდა, რა რაოდენობის ფინანსური დახმარება იქნება გაწეული.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მოსახლეობის მხრიდან დახმარება იქნება ინდივიდუალური, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფინანსურ დახმარებაზე უფრო უპრიანია შეგროვებული იქნას ნუსხაში ჩამოთვლილი პროდუქტი, მედიკამენტი და სხვა ნივთები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის, რაც ხდება უკრაინაში მთელი მსოფლიოს ტკივილია. თავის მხრივ, უერთდება მოძმე უკრაინელ ხალხისადმი გამოხატულ თანადგომას და სოლიდარობას. უსურვა მათ მშვიდობა და ომის უახლოეს პერიოდში დასრულება. ამის შემდეგ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხა უნდა მიიმართოს მედიკამეტების, პროდუქტების და სხვა ნივთების შესაძენად, რათა მოქალაქეების

და ბიზნესმენების ჩართულობასთან ერთად მუნიციპალიტეტმაც შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა უკრაინელებისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაში. მუნიციპალიტეტის მერიაში გაკეთდა ცხელი ხაზი, რაც ალბათ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულშიც იქნება. ასევე, ინფორმაცია განთავსდება სოციალურ ქსელში. გაკეთებულია ჩამონათვალი როგორც სამედიცინო კუთხით, ასევე პროდუქტების და სხვადასხვა ნივთებთან დაკავშირებით, რომელთა შეგროვება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში. მისასალმებელი და ძალიან კარგია, რომ უკვე მოსახლეობა უკავშირდება ცხელ ხაზს და გამოთქვამენ დახმარების სურვილს. რაც შეეხება სარეზერვო ფონდს, სავარაუდოდ 10-15 ათასი ლარის ფარგლებში მოხდება დახმარების გაწევა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის იდგა უკრაინის გვერდით. კარგად ახსოვთ უკრაინელი მებრძოლები, რომლებიც ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ. ქართველების ვალია, რომ მხარი დაუჭიროონ უკრაინელ ხალხს და მართლაც ქვეყნის და მოსახლეობის მიერ ყველა დონეზე ხდება თანადგომის და სოლიდარობის გამოხატვა. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილემ ასევე ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ღადარი"-ს ანგარიშზე დახმარების მსურველებს შეუძლიათ ჩარიცხონ შესაძლებლობის მიხედვით გარკვეული როდენობის თანხა.

საკრებულოს წევრის **დარეჯან ბურჭულაძის** განცხადებით, სოლიდარობას და თანამდგომას უცხადებს უკრაინელ ხალხს. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს ყველა ეპარქიაში გროვდება ჰუმანიტარული დახმარება უკრაინელი ხალხისთვის. ლანჩხუთელი ჩოხოსნები უერთდებიან ამ აქციას. ისინი დააორგანიზებენ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდანაც გურიის ეპარქიის სახელით გაიგზავნება ჰუმანიტარული დახმარება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N9 (02.03.2022)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

2 მარტი **2022** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	შვებულ	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11 00	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 55	
6	ალექსანდრე მახათაძე	—	
7	ზაზა წულაძე	11 50	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 57	
10	ია მოქია	—	
11	კახაბერ ასკურავა	11 00	
12	მაკა მშვიდობაძე	11:55.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 55	
15	ლოლიტა ურუშაძე	12:00	
16	ნინო მშვიდობაძე	11:56	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე	11 00	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 55	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11:40	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე	11-50	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11:40	